ოქმი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 22 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. გენადი ზარანდია
4. ვასილ კუკავა
5. კახა ლატარია
6. როსტევან გვარამია
7. ჯემალი ნადარაია
8. კახა მიქაბერიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 14 სექტემბრის N06/1571 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1610 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 ივნისის N06/1027 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 14 სექტემბრის N06/1571 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს თვის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 8431,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 7146,8 ათასი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბიუჯეტის 8 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 59,1%-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 1048,0 ათასი ლარი (26,2%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 3752,3 ათასი ლარიდან მიღებულია 3398,0 ათასი ლარი (90,6%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან შემოსულია 406,0 ათასი ლარი (85,3%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 203,6 ათასი ლარიდან შემოსულია 129,9 ათასი ლარი (63,8%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ივლისის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 42,06% (გეგმა 7146,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 3826,7 ათასი ლარი). მიმდინარე წლის 8 თვის შემოსულობები 76.8% ათვისებულია. მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ბიუჯეტის 8 თვის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1610 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები და დამატებები, კერძოდ: გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 765,0 ათასი (შვიდას სამოცდახუთი ათასი) ლარით; შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 765,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებაზე. შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 60,0 ათასი ლარით, შემცირდა ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება. გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 34,1 ათასი (ოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 34,1 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 06 00)

ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“ ასიგნებაზე (2015 წლის სტიქიით დაზარალებულთათვის სამშენებლო მასალების შეძენა მიმდინარე რემონტისათვის). გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 900,0 (ცხრაასი ათასი) ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 900,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებაზე, აქედან: 138,6 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 03 01 02) ასიგნებაზე, 761,4 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე.შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 38.7 ათასი ლარით, შემცირდა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება. გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 207,0 ათასი ლარით, შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 207,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე და განხორციელდა ცვლილებები: 375,9 ათასი ლარით გადიდდა პროგრამის ,,საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)“ ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნება. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის #15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეგლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 10239,1 ათას ლარს. მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1620 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით 2016 წლისთვის გათვალისწინებულია გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურისთვის საწვავის ლიმიტი თვეში 150 ლიტრის ოდენობით, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურისთვის არსებულ ლიმიტზე 50 ლიტრის დამატებით, ასევე 150 ლიტრის ოდენობით. აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა გამგეობის იმ სამსახურების მოთხოვნები საწვავის საჭიროების შესახებ, რომელთაც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისთვის განესაზღვრათ საწვავის ლიმიტი თვეში 50 ლიტრის ოდენობით. მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

მომხრე -8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და კომისიიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია